

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- ფესტივალის შეჯიბრებას ხელმძღვანელობს და ატარებს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში თვით).
- თამაშები ჩატარდება თბილისის დინამოს აკადემიის კეთილმოწყობილ მოედნებზე(ხელოვნური საფარი), თვით-ს მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.

3. მონაწილე გუნდები

- 3.1 შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხეუმის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, 2006-2007-2008 წელს დაბადებული ბავშვები.
- 3.2 მატჩების სანგრძლივობაა 40 წუთი (20-20წ.), 5 წუთი შესვენებით;
- 3.3 2006 და 2007 წელს დაბადებული ჭაბუკები ითამაშებენ 1 კარში და 8 წინ, ხოლო 2008 წელს დაბადებულები - 1 კარში და 6 წინ. ბურთის ზომა #4
- 3.4 ფესტივალში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა;
- 3.5 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:
- 3.5.1 მოგებათა მეტი რაოდენობა;
- 3.5.2 უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ - ბურთების უკეთესი სხვაობა);
- 3.5.3 ჯაზუფში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
- 3.5.4 ჯაზუფში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;
- 3.5.5 ფეირ-კლეის შედეგები; თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.
- 3.5.6 იმ შემთხვევაში თუ საჭირო შეიქმნა საუკეთესო მესამე ადგილოსნების გამოვლენა გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპი. პირველად უპირატესობა მიეცემა გუნდს ვისაც მეტი ქულები აქვს დაგროვილი, შემდეგ მიღებული და გაშვებული ბურთების უკეთესი ბალანსი, ხოლო ბოლოს მეტი გატანილი ბურთები. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.
- 3.5.7 ფლეი-ოფის სტადიაზე, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, დაინიშნება პენალტების სერია (5-5 დარტყმა და თუ საჭირო გახდა, თითო-თითო დარტყმა პირველ გაფუჭებამდე).
- 3.6 გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს მინიმუმ 12 და მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი;
- 3.7 თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების კაპიტენები, გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი;
- 3.8 გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თვით-ს განაცხადის შეტანის დროს;
- 3.9 ფედერაცია ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მორიგე სამედიცინო დახმარების მანქანა, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;